2021 წლის 21 ივნისი, ქალაქი ქუთაისი

განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომის მოწვევის და მისი დღის წესრიგის განსაზღვრის თაობაზე

1. მოწვეულ იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომა 2021 წლის 29 ივნისს 10:00 საათზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ნიუპორტის ქ. №32, დარბაზი №4.

შემდეგი დღის წესრიგით:

ა) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2021 წლის 28 მაისის N48 ბრძანების შესაბამისად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარ კონსულტანტ - მოსამართლის თანაშემწე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების სამოქალაქო საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსისათვის (შემდგომში - „კონკურსი“) საკონკურსო პროგრამის დამტკიცება;
ბ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2021 წლის 28 მაისის N48 ბრძანების შესაბამისად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარ კონსულტანტ - მოსამართლის თანაშემწე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების სამოქალაქო საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსისათვის (შემდგომში - „კონკურსი“) საკონკურსო პირობების დამტკიცება;
გ) კანდიდატების შეფასების წესის განსაზღვრა;
დ) კონკურსის შედეგების გამოცხადების წესის განსაზღვრა;
ე) კონკურსთან დაკავშირებით სხვა საორგანიზაციო საკითხების განხილვა;
ვ) ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხდებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების სარეგისტრაციო ბარათისა და შეფასების ფორმების დამტკიცება.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსმა-მეორადი ტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ნათია ლოლაძემ განახორციელოს კომისიის წევრთა ინფორმირება სხდომის ჩატარების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე:

ქეთევან აწყურელი